ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2017 წლის 26 იანვრის N40/10 გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი ქ. თბილისი მეტრულ ტალღათა (FM) დიაპაზონში (სიხშირეზე 90,8მჰც) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

კომისიის 2017 წლის 26 იანვრის N40/10 გადაწყვეტილებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 27 თებერვლის 17:00 საათი, მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად – 2017 წლის 2 მარტი13:00 საათი, ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად - 2017 წლის 4 აპრილი 13:00 საათი, ხოლო კონკურსის ჩატარების თარიღად –2017 წლის 6 აპრილი 15:00 საათი; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვრა 10,692.00 (ათი ათას ექვსასოთხმოცდათორმეტი და 00) ლარით. ინფორმაცია კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და კომისიის ვებ-გვერდზე ინტერნეტში.

კომისია აღნიშნავს, რომ განაცხადი და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობისა და 2017 წლის 26 იანვრის N40/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოადგინა შპს ”MS Group”-მა (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/1953-17, 27.02.2017წ) და შპს „რადიო ჰოლდინგმა ფორტუნამ“ (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/1933-17, 27.02.2017წ).

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 2 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე, რომელსაც შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” უფლებამოსილი წარმომადგენელი გვანცა წერეთელი და შპს „MS GROUP“-ის დირექტორი მიხეილ ტარახჩევი ესწრებოდა ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლითა და კომისიის 2017 წლის 26 იანვრის N40/10 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის პირობებს. კერძოდ:

ა) შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” მიერ ხარვეზით იყო წარმოდგენილი სალიცენზიო მოსაკრებლის (2000 ლარი) გადახდის ქვითარი. თანხა (1000 ლარი) გადარიცხული იყო არასწორ სახაზინო კოდზე.

ბ) შპს „MS GROUP“-ის მიერ ხარვეზით იყო წარმოდგენილი ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ და ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ; კომპანიას საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენილი ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია,

კომისიის 2017 წლის 2 მარტის №125/10 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” და შპს „MS GROUP“-ს დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით მიეცა ვადა 2017 წლის 13 მარტის 19:00 საათამდე. შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” მიერ 2017 წლის 6 მარტს (წერილი №6/2175-17), ხოლო შპს „MS GROUP“-ს მიერ 2017 წლის 13 მარტს (წერილი №6/2373-17) წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

ზეპირი მოსმენა ქ. თბილისში (სიხშირეზე 90,8მჰც) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსზე ჩატარდა 2017 წლის 4 აპრილს 13:00 საათზე. ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” წარმომადგენლები ირაკლი ჩხიკვაძე, გვანცა წერეთელი, მაია მაზანაშვილი, რეზო კაკულია, გიორგი მშვენიერაძე და ნატალია ხარაშვილი.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნა (სამსახურებრივი ბარათი №10/2862-17, 28.02.2017) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებლების, შპს „MS GROUP“-ის და შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შეფასების თაობაზე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საძიებელი ლიცენზიის სახეობაა - სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა; ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[8]) ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალიზებული მაუწყებლობა არის ერთი თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობა. შეესაბამისად თუ წარმოდგენილ სამაუწყებლო კონცეფციებში შემოთავაზებულია ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, აღნიშნული ლიცენზიის მაძიებლის დისკვალიფიკაციის საფუძველია.

1. შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:

ფორმატი: მუსიკალურ-შემეცნებით-გასართობი მაუწყებლობა.

შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ მიერ წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად რადიოსადგურის სახელწოდება იქნება „კარნავალი“, რაც ხაზს უსვამს მისი კონტენტის მრავალფეროვნებას. ახალი რადიოსადგურის ეთერის 65-70%-ს დაიკავებს მუსიკა, რომლის ძირითადი მიმდინარეობები იქნება კლასიკური როკი, პოპი, ბლუზი და ჯაზი. უმეტესწილად მუსიკალური ფორმატი შედგება ლეგენდარული ჰიტების, მათი ქავერების და ქართველი როკ-შემსრულებლების მიერ შექმნილი მუსიკისგან.

რადიო „კარნავალს“ ექნება სხვადასხვა თემატიკის გადაცემები. იქნება რამდენიმე გადაცემა მედიცინისა და ბიზნეს თემატიკაზე, ასევე თითო გადაცემა ხელოვნებისა და სპორტის შესახებ. დანარჩენი გადაცემები არის გასართობი ხასიათის ტურიზმის, ტექნოლოგიების, ავტო-ინდუსტრიის შესახებ. რადიოს კონტენტი და მუსიკალური ფორმატი ძირითადად გათვლილია ახალგაზრდებზე.

ლიცენზიის მაძიებელი საკუთარ მიზნად ასახელებს ისეთი რადიოს შექმნას სადაც თავმოყრილი იქნება ყველა იმ თემატიკის შემეცნებითი გადაცემები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ რადიო სივრცეში. ლიცენზიის მაძიებელი საკუთარ პლიუსად მიიჩნევს მუსიკალური ფორმატისა და გადაცემების კონტენტის თანხვედრას, ასევე მიაჩნია, რომ ორივე ფორმატი გათვლილია კონკრეტულ ასაკობრივ სეგმენტზე. აგრეთვე, კონცეფციაში ხაზს უსვამს მრავალწლიანი გამოცდილების ფლობას რადიომაუწყებლობის სფეროში.

შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“ მსმენელს შესთავაზებს შემდეგი რუბრიკებს:

“ჯანსაღი დილა”

- ფორმატი: გასართობი
- სფერო: სხვადასხვა/ცხოვრების სტილი
- ქრონომეტრაჟი:4 საათი
- პერიოდულობა: ყოველდღე

დილის გადაცემა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გადაცემა მოიცავს უამრავ საინტერესო, სასარგებლო და სახალისო ინფორმაციას ყველასთვის, ვინც დღეს ადრეულად იწყებს. დღის მანძილზე მიმდინარე მუსიკალური თუ კულტურული სიახლეები, საინტერესო რჩევები, ასტროლოგის რეკომენდაციები, ამინდი და სხვ.

“ექიმის დრო”

- ფორმატი: შემეცნებითი/ინტერაქტიული
- სფერო:მედიცინა
- ქრონომეტრაჟი: 1 საათი
- პერიოდულობა: კვირაში 2-ჯერ

სამედიცინო გადაცემის სტუმრები იქნებიან საზოგადოებისთვის ცნობილი ექიმები, საკუთარ სფეროში მოღვაწე წარმატებული სპეციალისტები. აქტუალური თემები და პრობლემები, მითები და ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები, სიმპტომების სწორი კვალიფიკაცია და დროულ პრევენცია – ეს ის თემებია, რომლებზეც ექიმები აღნიშნულ გადაცემაში იმსჯელებენ.

“ერთი ნაბიჯი წარმატებამდე”

- ფორმატი: შემეცნებითი/ინტერაქტიული/გასართობი
- სფერო:ბიზნესი
- ქრონომეტრაჟი:1 საათი
- ინტენსივობა: კვირაში ერთხელ

გადაცემის სტუმარი, უკვე წარმატებული ბიზნესმენი, ან კონკრეტულ სფეროში მოღვაწე საინტერესო ადამიანი იქნება. ის საკუთარ მაგალითზე ისაუბრებს ბიზნესის განვითარების კონცეფციაზე, დაეხმარება მსმენელს დასახული მიზნის სწორად განხორციელებაში და კონსულტაციას გაუწევს ყველა დამწყებ ბიზნესმენს.

“ექიმის ბლოგი”

- ფორმატი: შემეცნებითი
- სფერო:მედიცინა
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- ინტენსივობა: ყოველდღე, დღეში 3 ჯერ

ყოველკვირეული გადაცემა, რომლის წამყვანიც კონკრეტულ სფეროში მომუშავე ექიმი იქნება. თითოეული მათგანი მისთვის გამოყოფილი საეთერო დროის (15 წთ) მანძილზე ისაუბრებს საინტერესო

საკითხზე. ეს იქნება რჩევის, რეკომენდაციის, საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის, კონკრეტულ დავადებაზე მეტი ინფორმაციის მიღებისთვის განკუთვნილი დრო.

"სიახლეები კულტურის სამყაროდან"

- ფორმატი: გასართობი/შემეცნებითი
- სფერო:კულტურა
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- პერიოდუობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

4 წთ კულტურის სფეროში მიმდინარე სიახლეების ყოველდღიური მიმოხილვა. კინო, თეატრი, მუსიკა, ხელოვნება, გამოფენები, პრემიერები და ყველაფერი რაც ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ხდება.

"მედ-ექსპრესი"

- ფორმატი: შემეცნებითი
- სფერო:მედიცინა
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

ყოველდღიური რუბრიკა, რომლის ქრონომეტრაჟი 3-4 წუთია და მოიცავს დღის და კვირის ყველაზე საინტერესო რეკომენდაციებს.

"7 გზა წარმატებისკენ"

- ფორმატი: შემეცნებითი/გასართობი ახალგაზრდებისთვის
- სფერო:ბიზნესის საფუძვლები (მარკეტინგი,პიარი)
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 3-ჯერ

რუბრიკა ყოველდღე, დღეში 4-ჯერ გავა ეთერში და მოიცავს დღის ყველა მონაკვეთს. ეს არის ნოვატორი მარკეტოლოგების, პიარის სპეციალისტებისა და ახალგაზრდა ბიზნესმენების რადიოკოლექცია, საინტერესო და სასარგებლო რეკომენდაციებით.

"ვაკანსია"

- ფორმატი: გასართობი/შემეცნებითი ძირითადად ახალგაზრდებისათვის
- სფერო:ბიზნესი
- ქრონომეტრაჟი: 1 საათი
- პერიოდულობა: კვირაში ერთხელ

ეს არის გასართობ/შემეცნებითი სახალისო და ამავდროულად სასარგებლო ხასიათის გადაცემა მათთვის, ვინც სამსახურს ეძებს. ყოველკვირეული პროექტი, რომელსაც რადიოჰოლდინგი "ფორტუნა" წარმოადგენს დასაქმების კომპანია HR.COM.GE-სთან ერთად, ერთის მხრივ, გათვლილია კომპანიებისთვის, ვინც კონკრეტულ პოზიციაზე აცხადებს ვაკანსიას და მეორეს მხრივ, ადამიანებისთვის, ვისაც დასაქმება სურს.

"ინფო-ტური"

- ფორმატი: გასართობი/ვიქტორინა
- სფერო: ტურიზმი
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

ყოველდღიური რუბრიკა მათთვის, ვისაც მოგზაურობა უყვარს. რადიომსმენელს საშუალება ექნება იმოგზაუროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მიიღიოს სასარგებლო ინფორმაცია და მეტი გაიგოს ყველაზე პოპულარული ან ნაკლებად ცნობილი კურორტების შესახებ.

"ტექნოლოგიური სიახლეები"

- ფორმატი: გასართობი/შემეცნებითი
- სფერო: ტექნოლოგიები
- ქრონომეტრაჟი:4 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

ინტერნეტის საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარება და ამ სფეროში არსებული სიახლეები სულ უფრო საინტერესო ხდება. აღნიშნული რუბრიკა უახლესი ტექნოლოგიების შესახებ, ახალი რადიოსადგურის მრავალფეროვანი პროდუქტის ძირითადი ნაწილი გახდება.

"ჩემი ისტორია"

- ფორმატი: გასართობი/ვიქტორინა
- სფერო:ტურიზმი
- ქრონომეტრაჟი: 30 წუთი

- პერიოდულობა: ყოველდღე, სეზონური

პროექტი, სახელწოდებით „ჩემი ისტორია“ იმ ადამიანების ისტორიაზე გვიყვება, რომლებიც სხვა ქალაქში გამგზავრებაზე ოცნებობენ. ყოველდღე, ეთერში გავა რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მსმენელები მოისმენენ ერთი კონკრეტული ადამიანის ისტორიას.

“X-ფაქტები”

- ფორმატი: შემეცნებითი/გასართობი
- სფერო: საზოგადოება, ბიზნესი, კულტურა
- ქრონომეტრაჟი: 10 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

ყოველკვირეული შემეცნებითი გადაცემა, რომელიც კვირის ყველაზე საინტერესო ფაქტებს შეაჯამებს, ეს იქნება საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი და საინტერესო ისტორიები, რომლებიც ფაქტებით არის გამყარებული. “X-ფაქტები” მოიცავს საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა თემას - მედიცინა, ბიზნეს-სექტორი, კულტურა, საზოგადოება. პროექტზე მომუშავე გუნდი თავს მოუყრის ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტების სტატისტიკას, გადაცემის მეორე ნაწილი მსოფლიო ფაქტების მოკლე მიმოხილვას დაეთმობა.

“ფსიქოლოგის საათი”

- ფორმატი: შემეცნებითი
- სფერო:ფსიქოლოგია
- ქრონომეტრაჟი:1 საათი
- პერიოდულობა: კვირაში ერთხელ

გადაცემა უფროსებისთვის. უფრო კონკრეტულად კი მათთვის, ვისაც უძნელდება პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება. საქართველოში ყველაზე კომპეტენტური ფსიქოლოგები, ყოველ კვირას, საინტერესო რჩევებსა და რეკომენდაციებს მოგვცემენ.

“დედების კლუბი”

- ფორმატი: შემეცნებითი
- სფერო:ფსიქოლოგია
- ქრონომეტრაჟი: 1 საათი
- პერიოდულობა: კვირაში ერთხელ

გადაცემა დედებისთვის, რომლებსაც პატარების აღზრდის პროცესში უამრავი შეკითხვა უჩნდებათ. ამ თემებზე, ყოველ კვირას, გადაცემაში ბავშვთა ფსიქოლოგები იმსჯელებენ.

“FM-ბლოგი”

- ფორმატი: გასართობი
- მიმართულება: ახალგაზრდული
- სფერო:საზოგადოება
- ქრონომეტრაჟი: 15 წუთი
- პერიოდულობა: : კვირაში ერთხელ

პოპულარული ბლოგერები სოციალური ქსელიდან FM სივრცეში გადაინაცვლებენ. გადაცემა თავს მოუყრის ყველაზე რეიტინგულ ბლოგერებს შემოქმდებითი თუ ყოფითი თემატიკით.

„ჩემი კიბერნაცია“

- ფორმატი: გასართობი/შემეცნებითი
- სფერო: მრავალფეროვანი (მუსიკა, ხელოვნება, კულტურა, სპორტი ...)
- მიმართულება: ახალგაზრდული (18 წლამდე)
- ქრონომეტრაჟი: 1 სთ
- პერიოდულობა: კვირაში ერთხელ

ახალგაზრდული გადაცემა თავს მოუყრის 18 წლამდე ახალგაზრდებს მთელი საქართველოდან, რომლებიც საკუთარ შესაძლებლობებს სხვადასხვა მიმართულებით ავლენენ. ესაა ხატვა, მუსიკა, ხელოვნება, გამოგონებები, სპორტი და სხვადასხვა აქტივობები.

“TOP 10 (ათი)”

- ფორმატი:გასართობი /შემეცნებითი
- სფერო: საზოგადოება
- ქრონომეტრაჟი: 10 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში ერთხელ

ყოველდღიური გადაცემა, მსოფლიოს მასშტაბით, 10 ყველაზე საინტერესო ისტორიას აერთიანებს. მაგ: 10 საკულტო ფილმი ოსკარების ისტორიაში და სხვ.

“ავტო-ექსპრესი ”

- *ფორმატი: გასართობი*
- *სფერო:* ავტო ინდუსტირია
- *ქრონომეტრაჟი: 15 წუთი*
- *პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში ერთხელ*

ყოველდღე, დღეში 1 რუბრიკა მათთვის, ვინც ხშირად მგზავრობს ან მათთვის, ვისაც სურს საცობების გარეშე გაიაროს გზა დანიშნულებამდე. ასევე გადაცემა მსმენელს აძლევს საინტერესო რეკომენდაციებს ავტომფლობელთათვის ყველაზე აქტუალურ თემებზე და სთავაზობს დახმარებას მათ, ვისაც გზად პრობლემები შეექმნა.

“ავტო-გიდი ”

- ფორმატი: გასართობი
- სფერო: ავტო ინდუსტირია
- ქრონომეტრაჟი: 2 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში ერთხელ

„ავტო-გიდი“ თქვენი გიდია ავტოსამყაროში. საავტომობილო ბრენდები, ახალი და მოძველებული მარკები, უახლესი მოდელები, უამრავი ინფორმაცია, სიახლე და ნოვაცია.

“სპორტ-ინფო ”

- ფორმატი: გასართობი
- სფერო: სპორტი
- ქრონომეტრაჟი: 2 წუთი
- პერიოდულობა: ყოველდღე, დღეში 2-ჯერ

მათთვის, ვისაც სურს პირველმა გაიგოს ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული სიახლეები. დღის ყველაზე აქტუალური სპორტული აქტივობები, თამაშები, მსოფლიო დონის სპორტული მოვლენები, ოლიმპიადა, ქართველ ლეგიონერთა წარმატებები და ინფორმაცია ფსონების შესახებ.

2. შპს „MS GROUP“-ის მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:

შპს „MS GROUP”-ის კონცეფციას წარმოადგენს რადიო-მაუწყებლობა ქ. თბილისში. რადიოს სახელწოდება იქნება “LIFE FM”. “LIFE FM” იქნება ვიწრო პროფილის რადიოსადგური და ეთერში გავა, ძირითადად მხოლოდ სამედიცინო თემატიკის გადაცემები. 8 გადაცემიდან, რომელიც წარმოდგენილია კონცეფციაში ერთი არის მუსიკალური თემატიკის, ხოლო დანარჩენი 7 სამედიცინო. რადიოს ეთერის 70%-ს დაიკავებს მუსიკა, რომლის ძირითადი მიმდინარეობა იქნება პოპ მუსიკა. რადიო ასევე ეთერს დაუთმობს ცოცხალ შესრულებას და ქართველ მუსიკოსებს მისცემს საშუალებას და პლატფორმას საკუთარი ტალანტების წარმოსაჩენად.

რადიოსადგური ქართული ენის გარდა იმაუწყებლებს რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამას გარდა მსმენელს შეეძლება ყოველდღიური გადაცემა მედ-ნიუსის აფხაზურ ენაზე დუბლირებული სახით მოსმენა გარკვეულ საათებში.

ლიცენზიის მაძიებელი თავის მიზნად ასახელებს სამედიცინო თემატიკის რადიო მაუწყებლის შექმნას, რომელიც მოახდენს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას, სამედიცინო სფეროში არსებული კვლევების და მიგნებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

ლიცენზიის მაძიებელი კონცეფციაში ხაზს უსვამს მის საერთაშორისო გამოცდილებას და აღნიშნავს, რომ „MS GROUP“-ი წარმოადგენს საკონსულტაციო და კონტენტის მწარმოებელ კომპანიას, რომლის დამფუძნებლებიც ევროპის 7 ქვეყანაში სხვადასხვა კონცეფციის და მიმართულების მედია საშულებებს ფლობენ.

შპს „MS GROUP“-ის მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, კომპანია მსმენელს შესთავაზებს შემდეგ რუბრიკებს:

მედ-ნიუსი

<u>პერიოდულობა:</u> ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 09:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 (ქართული); 09:30, 12:30, 15:30, 18:30, 21:30 (აფხაზური)

<u>ხანგრძლივობა:</u> 5 წუთი

<u>აღწერა:</u> სამედიცინო სფეროში მიმდინარე სიახლეები, ყველაფერი ჯანდაცვის, დაავადებების მართვის, მკურნალობის მეთოდების, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, წამლების და ლაბორატორიული

ექსპერიმენტების შესახებ. უახლესი და გადამოწმებული ინფორმაცია ქართული და უცხოური მედიცინის შესახებ.

პორტფოლიო

<u>პერიოდულობა:</u> ორშაბათი - პარასკევი, შაბათი (RUS), კვირა (ENG)

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 18:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> ყველაზე საინტერესო საქმეები ქართული და უცხოური მედიცინის ისტორიიდან და თანამედროვეობიდან. ცნობილი ექიმების მიღწევები, წარმატების ფაქტორები და მათი პირადი დამოკიდებულება გახმაურებული ოპერაციების და მკურნალობის მეთოდების შესახებ. პროფესიონალი სამედიცინო ექსპერტები, მათი სამუშაო პორტფოლიო და მოღვაწეობა ჯანდაცვის სფეროში. ინტერვიუ ცნობილ ექიმებთან, მათი ყველაზე დასამახსოვრებელი ოპერაციები, რისკის ფაქტორი, წარუმატებელი შემთხვევები და ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად.

FM პედიატრი

<u>პერიოდულობა:</u> ორშაბათი

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 13:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> აუდიტორიის მიერ შერჩეული აქტუალური თემები. ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ორიენტირებული საკითხები, რომლებსაც მსმენელთან ერთად პროფესიონალი პედიატრები განიხილავენ. ინტერაქტიული საგანმანათლებლო მუშაობა მშობლებთან ბავშვთა ჯანსაღი კვებისა და ცხოვრების წესის შესახებ.

ხალხური მედიცინა

<u>პერიოდულობა:</u> სამშაბათი

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 13:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> მკურნალობის ხალხური მეთოდები, მსმენელის გამოცდილების გაზიარება პროფესიონალ ექიმთან ერთად. მხოლოდ გადამოწმებული და ბუნებრივ ფაქტორებზე დამყარებული მკურნალობა, ტრადიციული საექიმო მედიცინა, პროფილაქტიკა და ჰიგიენა. ეროვნული მკურნალობის მეთოდები, მისი წარმოშობის ისტორია და უპირატესობები გადაცემაში „ხალხური მედიცინა“.

სპორტი და ჯანმრთელობა

<u>პერიოდულობა:</u> ოთხშაბათი

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 13:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> გადაცემა სპორტის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას ემსახურება. მისი მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი ჩვენს ცხოვრებაში და რა ადგილი უკავია ფიტნესს და მედიცინას მოზარდის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების თვალსაზრისით.

Beauty

<u>პერიოდულობა:</u> ხუთშაბათი

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 13:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> გადაცემა ესთეტიკური მედიცინის, პლასტიკური ქირურგიის და თავის მოვლის პროცედურების შესახებ. მსმენელის მიერ, სოციალური მედიის საშუალებით შერჩეული თემები. ცნობილი პლასტიკური ქირურგები, ექიმები და სპეციალისტები სტუმრად გადაცემაში.

რეაბილიტაცია

<u>პერიოდულობა:</u> პარასკევი

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 14:00

<u>ხანგრძლივობა:</u> 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)

<u>აღწერა:</u> გადაცემა პენიტენციალური სისტემის, არსებულ და ყოფილ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პროგრამების შესახებ. ამომწურავი ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული და დანერგილი პროგრამების შესახებ.

ღია მიკროფონი არტი

<u>პერიოდულობა:</u> შაბათი, კვირა

<u>გადაცემის საეთერო დრო:</u> 19:00

ხანგრძლივობა: 60 წუთი (საუბარი - 30 წუთი, მუსიკა - 30 წუთი)
აღწერა: ღია მიკროფონი რადიო LIFE FM-ის პლატფორმაა, რომელიც ნაკლებად ცნობილ მუსიკოსებს წარმოადგენს. გასართობი გადაცემა ინტერესდება მუსიკის სფეროში მიმდინარე სიახლეებით და მოვლენებს განსხვავებული რაკურსით გვთავაზობს. ყოველ შაბათ-კვირას მსმენელი შეიტყობს ამომწურავ ინფორმაციას დამწყები ხელოვანების და ნიჭიერი მუსიკოსების შესახებ. გადაცემის ფარგლებში ხდება მუსიკოსებისთვის აუდიო/ვიდეო კონტენტის მომზადება.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამაუწყებლო კონცეფციების შეფასება განხორციელდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43–ე მუხლისა და ”საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 10 მარტის N160/22 გადაწყვეტილების საფუძველზე.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტების პრეფერენციები რადიო გადაცემების თემატიკასთან დაკავშირებით, საკმაოდ მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებულია. სხვა თემატიკებთან შედარებით, რესპონდენტები ყველაზე მეტად უპირატესობას ანიჭებენ მედიცინისა და სოციალურ პრობლემების ამსახველ თემებს. სოციალური პრობლემების ამსახველი თემები მეტწილად საერთო მაუწყებლობის დამახასიათებელი ნიშანია, ხოლო რაც შეეხება სამედიცინო თემატიკას ორივე კომპანიას განსაზღვრული აქვთ პროგრამები ამ მიმართულებით. თუმცა შპს „MS GROUP“-ს 8 გადაცემიდან 7 აქვს სამედიცინო თემატიკის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა პრეფერენციები არაერთგვაროვანია რადიო გადაცემების ფორმატთან მიმართებაშიც. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი უპირატესობას ანიჭებს ისეთ გადაცემებს, სადაც წამყვანის გარდა მონაწილეობს მსმენელი ან სტუმარი. შედარებით ნაკლებად მიმზიდველია რესპონდენტთათვის გადაცემები სტუმრის ან მსმენელის მონაწილეობის გარეშე.

კომპანიების მიერ წარმოდგენილი კონცეფციების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ სტუმრისა და მსენელის მონაწილეობით პროგრამები უზრუნველყოფილია ორივე ლიცენზიის მაძიებელთან.

კვლევის მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ საკმაოდ მაღალია ინტერესი ისეთი რადიო არხების მიმართ, რომლებიც სპეციალიზირებული იქნებოდნენ მუსიკის სფეროში (რესპონდენტთა 64.7% აცხადებს, რომ ასეთ არხს ყოველდღიურად მოუსმენდა).

დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომპანიების მიერ წარმოდგენილი კონცეფციები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველ რიგში იმით, რომ შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ კონცეფცია ხასიათდება თემატიკის მრავალფეროვნებით, მასში არის როგორც მედიცინის და ბიზნესის, ისე ხელოვნების, სპორტის და გასართობი თემატიკის გადაცემები. რაც შეეხება შპს „MS GROUP“-ის კონცეფციას, ის არის ვიწრო პროფილიანი და ითვალისწინებს მხოლოდ სამედიცინო და მუსიკალურ გადაცემებს. განსხვავდება აგრეთვე მუსიკალური მიმართულებები. რადიო „კარნავალი“ აქცენტს აკეთებს როკ მუსიკაზე, ხოლო “LIFE FM” ორიენტირებული იქნება პოპ მუსიკაზე. ორივე რადიო აპირებს, რომ ხელი შეუწყოს და პლატფორმა მისცეს ქართველ შემსრულებლებს საკუთარი ნიჭის წარმოსაჩენად.

კომისიის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნის თანახმად წარმოდგენილი კონცეფციები ძირითადად სპეციალიზებული პროგრამებით არის დატვირთული თუმცა მიზანშეწონილია ზეპირ მოსმენაზე შპს „რადიო ჰოლდინგმა ფორტუნამ“ დააზუსტოს თუ რა ტიპის ინფორმაციით იქნება დატვირთული გადაცემა **“X-ფაქტები”.**

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა მესამედი უპირატესობას ანიჭებს მედიცინასთან დაკავშირებულ (35.1%) და სოციალური პრობლემების ამსახველ (32.6%) თემებს. შედარებით მცირე და თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ/მიანიჭებდნენ თემებს ხელოვნების (23.5%), საყოფაცხოვრებო პრობლემების (23.3%), პოლიტიკის (23.1%) და სპორტის (22.6%) შესახებ. რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილი უპირატესობას ანიჭებს განათლებასთან (16.8%), რელიგიასთან (14%) და ბიზნესთან/ეკონომიკასთან (10.7%) დაკავშირებულ საკითხებს. რესპონდენტთა თითქმის მეათედს (9.2%) უჭირს თვალსაზრისის დაფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

N259 ზონაში თემატიკათა ჩაშლა უპირატესობის მინიჭების კუთხით შედეგნაირია: – მედიცინა, ხელოვნება, სოციალური პრობლემები (საერთო მაუწყებლობა მხოლოდ), პოლიტიკა (საერთო მაუწყებლობა მხოლოდ), სპორტი, განათლება, რელიგია, საყოფაცხოვრებო პრობლმები (თუმცა ეს შესაძლებელია საერთო მაუწყებლობის თემატიკა უფრო იყოს), ბიზნესი/ ეკონომიკა.

თემატიკა ზონა N259	%
მედიცინა	36.9
ხელოვნება	29.6
სოციალური პრობლემები	27.4
პოლიტიკა	24.1
სპორტი	23.2
განათლება	20.8
რელიგია	19.2
საყოფაცხოვრებო პრობლემები	17.8
ბიზნესი/ეკონომიკა	13.2
მიჭირს პასუხის გაცემა	6.9

თემატიკათა უპირატესობის ჭრილში:

თემატიკა	**შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“**	**შპს „MS GROUP“**
მედიცინა	✓	✓
ხელოვნება	✓	
სპორტი	✓	
განათლება		
რელიგია		
ბიზნესი	✓	

რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (49.4%) გაუჭირდა საკუთარი თვალსაზრისის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, თუ **რა თემატიკის გადაცემების ნაკლებობაა საქართველოში არსებულ რადიო არხებზე**. სხვა შემთხვევებში, რესპოდენტების პასუხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია. ყველაზე ხშირად დასახელდა სოციალური პრობლემების ამსახველი თემატიკა (15.9%) და მედიცინასთან დაკავშირებული თემები (13.6%), რასაც შემდეგ მოსდევს რელიგიასთან (9.5%), განათლებასთან (8.6%), ხელოვნებასთან (8.0%), ბიზნესთან (5.9%) და სპორტთან (5.9%) დაკავშირებული თემები.

თემატიკა	**შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“**	**შპს „MS GROUP“**
მედიცინა	✓	✓
რელიგია		
განათლება		
ხელოვნება	✓	
ბიზნესი	✓	
სპორტი	✓	

წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შესაბამისად კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ თემათა მრავალფეროვნება უფრო მეტად უზრუნველყოფილია შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შპს „MS GROUP“-ის მიერ არჩეული თემატიკა - მედიცინა, არის სწორედ ის თემატიკა, რომელსაც კვლევის შედეგად ყველაზე მეტი ადამიანი ანიჭებს უპირატესობას ქ. თბილისში (გამოკითხულთა 36.9%). აგრეთვე სამედიცინო თემატიკა ლიდერობს იმ კითხვაშიც, თუ გამოკითხულთა აზრით, რომელი თემატიკის გადაცემების ნაკლებობაა ქართულ რადიო არხებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო თემატიკა მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი რადიო „კარნავალის“ კონცეფციაშიც (3 პროგრამა), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მრავალი თემატიკის მომცველი რადიო არხები ბევრია ქ. თბილისში, განსხვავებით ვიწრო პროფილიან რადიო მაუწყებლებისგან, რომლებიც მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან თემატიკას ეძღვნება. მუსიკალური ფორმატის თვალსაზრისით გამოირჩევა შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ მიერ წარმოდგენილი კონცეფცია, რადგან ძირითადი მიმართულება იქნება როკ მუსიკა, რაც მის განსაკუთრებულობად შეიძლება ჩაითვალოს. შპს „MS GROUP“-ის მუსიკალური მიმართულება იქნება პოპ მუსიკა, რაც მრავლად არის წარმოდგენილი ქ. თბილისის სხვა რადიო სადგურებზეც.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ და შპს „MS GROUP“-ის წარმომადგენელებმა ვრცლად ისაუბრეს იმ გადაცემებზე, რომლებიც ჩამოთვლილია სამაუწყებლო კონცეფციაში ასევე დაფინანსების გეგმებზე და დაფინანსების წყაროებზე.

შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ წარმომადგენელმა ნატალია ხარაშვილმა დააზუსტა თუ რა სახის ინფორმაციით იქნება დატვირთული გადაცემა “X-ფაქტები” და აღნიშნა, რომ გადაცემა არ გულისხმობს ისეთი ფაქტების გაშუქებას, რომელიც სცდება რადიო ლიცენზიის ფორმატს. კომპანია გააშუქებს კვირის განმავლობაში მომხდარ 10 ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს. გაშუქდება 10 განსხვავებული ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კვირის განმავლობაში. გაჟღერდება ფაქტები საზოგადოების ცხოვრებიდან, მუსიკალური ცხოვრებიდან, კინო სამყაროში მიმდინარე მოვლენებიდან. მაგ: კონკრეტული მუსიკოსის ახალი ალბომის გამოსვლა; ქართული ფილმის ბერლინის კინოფესტივალზე წარდგენა; მენინგოკოკური ვაქცინის საქართველოში შემოსვლა და ა.შ.

შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ წარმომადგენელმა ირაკლი ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ რადიოს ეთერში არ განთავსდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გადაცემები. კომპანია ძირითადად იმაუწყებლებს ერთი თემატიკით. ეს იქნება გასართობი ხასიათის რადიოსადგური, რომელიც იქნება დატვირთული სამედიცინო ხასიათის გადაცემებით, ხელოვნების სფეროთი, სპორტით, ავტოინდუსტრიით, ბიზნესით, ეკონომიკით.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსი ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიაში ჩატარდა 2017 წლის 6 აპრილს 15:00 საათზე. საკონკურსო სხდომას ესწრებოდნენ შპს „MS GROUP“-ის დირექტორი მიხეილ ტარახჩევი და შპს ”რადიო ჰოლდინგი ფორტუნას” წარმომადგენლები ირაკლი ჩხიკვაძე, გვანცა წერეთელი.

კომისია აღნიშნავს, რომ მედიცინა, არის ის თემატიკა, რომელსაც ააიპ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ქ. თბილისში ყველაზე მეტი ადამიანი ანიჭებს უპირატესობას. სწორედ აღნიშნული კვლევის საფუძველზე მიღებულ იქნა კომისიის 2016 წლის 10 მარტის N160/22 გადაწყვეტილება ”საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ”. ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად სამედიცინო თემატიკა ლიდერია იმ გადაცემებშიც, რომელი თემატიკის გადაცემების ნაკლებობაცაა ქართულ რადიო არხებზე. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ქ. თბილისში არსებული სპეციალიზებული 9 რადიომაუწყებლიდან 4 არის მრავალფეროვანი თემატიკის მომცველი რადიო არხი, ხოლო 5 არის ვიწრო პროფილიანი (ერთი სპორტული, ოთხი მუსიკალური) რადიო მაუწყებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ რადიობაზარზე არსებული მაუწყებლებიდან არცერთი არ არის სამედიცინო თემატიკაზე ორიენტირებული რადიომაუწყებელი.

კომისია აღნიშნავს, რომ სხდომაზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გაიმართა კენჭისყრა. პირველად კენჭი ეყარა ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნას“ გამარჯვებულად გამოვლენის საკითხს, რომელსაც მხარი არ დაუჭირა კომისიის არცერთმა წევრმა. შემდგომ კენჭი ეყარა ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შპს „MS GROUP“-ის გამარჯვებულად გამოვლენის საკითხს,

რომელსაც მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილე ოთხივე წევრმა (ვახტანგ აბაშიძე, ელისო ასანიძე, გიორგი ფრუიძემ და მერაბ ქათამაძე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლისა და კომისიის 2017 წლის 26 იანვრის N40/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „MS Group"-ი;
2. უზრუნველყოს შპს „MS Group"-მა ერთი თვის ვადაში, სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის - 2,138.40 (ორი ათას ასოცდათვრამეტი და 40 თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22
სახაზინო კოდი - 300773062

3. კომისია გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე მიიღებს სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. კონკურსში გამარჯვებულის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე–2 პუნქტით განსაზღვრული სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება;
5. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დარჩენილი 70%-ის ანუ 7,484.40 (შვიდი ათას ოთხასოთხმოცდაოთხი და 40 თეთრი) ლარის გადახდა განხორციელდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პირისათვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;
6. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი) კონკურსში გამარჯვებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიის ანგარიშზე ჩარიცხული სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დაუყოვნებლივ გადარიცხვა;
7. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნასთვის" და შპს „MS Group"-სთვის წინამდებარე გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა;
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „MS Group"-სთვის და შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნასთვის" ჩაბარების დღიდან.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., №6) ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე